

# საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №197/04  
2020 წლის 10 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის მაღალი რისკის იურისდიქციების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 18 დეკემბრის №240/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

## მუხლი 1

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის მაღალი რისკის იურისდიქციების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 18 დეკემბრის №240/04 ბრძანებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); 19/12/2019; 220090000.18.011.016422) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ ბრძანების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განისაზღვროს მაღალი რისკის იურისდიქციების ნუსხა:

ა) ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა;

ბ) ალბანეთის რესპუბლიკა;

გ) ბარბადოსი;

დ) ბაჰამის კუნძულების თანამეგობრობა;

ე) ბოტსვანის რესპუბლიკა;

ვ) განას რესპუბლიკა;

ზ) გიბრალტარი;

თ) დომინიკის თანამეგობრობა;

ი) ერაყის რესპუბლიკა;

კ) ვანუატუს რესპუბლიკა;

ლ) ზიმბაბვეს რესპუბლიკა;

მ) თერქს-ქაიქოსის კუნძულები;

ნ) იამაიკა;

ო) იემენის რესპუბლიკა;

პ) ირანის ისლამური რესპუბლიკა;

ჟ) კაიმანის კუნძულები;



- რ) კამბოჯის სამეფო;
- ს) კოლუმბიის რესპუბლიკა;
- ტ) კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა;
- უ) მავრიკის რესპუბლიკა;
- ფ) მიანმარის კავშირის რესპუბლიკა;
- ქ) ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა;
- ღ) ნიკარაგუის რესპუბლიკა;
- ყ) პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა;
- შ) პანამის რესპუბლიკა;
- ჩ) სეიშელის რესპუბლიკა;
- ც) სენტ-ვინსენტი და გრენადინები;
- ძ) სირიის არაბთა რესპუბლიკა;
- წ) ტაჯიკეთის რესპუბლიკა;
- ჭ) უგანდის რესპუბლიკა.“.

## **მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

